



**დაუყოვნებელი გაგრძელებისთვის**  
**2015 წლის 23 იანვარი**

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ :  
მაკა ნოსელიძე – USAID/REAP საზოგადოებასთან ურთიერთობის  
სპეციალისტი  
მობ: 591192919; ელ.ფოსტა: [mnoselidze@georgiareap.org](mailto:mnoselidze@georgiareap.org)

# პრესრელიზი

## ტრენინგი აგრობიზნესის წარმომადგენლებისთვის

2015 წლის 9 თებერვალს, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა ლევან დავითაშვილმა და USAID-ის მისიის დირექტორის მოადგილემ თომას მორისმა სერთიფიკატები გადასცეს USAID/REAP –ს მიერ ჩატარებულ ევროკავშირთან ღმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმების საკითხებზე სამდღიან ტრენინგში მონაწილე გრანტის მიმღებ და გრანტის არმიმღებ საწარმოებს. აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა თავისუფალი უნივერსიტეტის ბაზალეთის ტრენინგ ცენტრში და დამსწრეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ევროკავშირთან ღმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შესრულებით გამოწვეული სარგებელისა და მოთხოვნების შესახებ.

USAID/REAP უზრუნველყოფს საიმედო ინვესტიციასა და ტექნიკურ დახმარებას ქართული აგრობიზნესის საწარმოებისთვის. ამ დახმარების საშუალებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი (REAP) დახმარებას გაუწევს აგრობიზნესის საწარმოებს განაახლონ მოწყობილობები, გააუმჯობესონ თავიანთი ბიზნესი და ტექნიკური უნარები იმგვარად, რომ ისინი აკმაყოფილებდეს თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს და ხელი შეუწყოს ექსპორტის გაზრდას. დღეისთვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტმა (REAP) 3.6 მილიონზე მეტი აშშ დოლარით დააფინანსა აგრობიზნესის საწარმოების მოდერნიზაცია და ტექნიკური დახმარება გაუწია 100-ზე მეტ საწარმოს.

ევროკავშირთან ღმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება შესაძლებლობას აძლევს ქართული აგრობიზნესის საწარმოებს გააფართოვონ ვაჭრობა ევროპასთან. ამ შესაძლებლობების განხორციელებისთვის ქართულმა აგრობიზნესის საწარმოებმა უნდა მოახდინონ თავიანთი საწარმოების მოდერნიზაცია და მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული ხარისხისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტები. იმისთვის, რომ დაეხმაროს საქართველოს აგრობიზნესის საწარმოებს კარგად გაერკვენ DCFTA –თან დაკავშირებით საჭირო მოთხოვნებში, USAID/REAP-მა გააფორმა ხელშეკრულება თავისუფალი უნივერსიტეტის და სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის კონსორციუმთან საიმისოდ, რომ მოემზადებინათ მიზნობრივი გზამკვლევები, რომლებიც ხაზს უსვამს ნედლეულის მწარმოებლებისთვის, კვების პროდუქტების მწარმოებლებისა და ლაბორატორიებისთვის აუცილებელ განსახორციელებელ ღონისძიებებს. ეს გზამკვლევები, რომლებიც უნდა დარიგდეს ტრენინგის დროს, პირველ რიგში მიაწვდის აგრობიზნესებს აუცილებელ ინფორმაციას ევროკავშირთან ღმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DFCTA) თაობაზე.